დედათა და ბავშვთა თავშესაფრის მომსახურების ეფექტურობა

თამარ ღარიბაძე

სამაგისტრო წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე, სოციალურ მეცნიერებათა მაგისტრი სოციალურ მუშაობაში აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სოციალური მეცნიერების მაგისტრი სოციალურ სამუშაოში

სამეცნიერო ხელმძღვანელი : შორენა საძაგლიშვილი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2023

განაცხადი

როგორც წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ნაშრომი გახლავთ ჩემი ორიგინალი ნამუშევარი. ტექსტი არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომელიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ციტირების სათანადო წესის დაცვით.

მადლობა

უდიდესი მხარდაჭერისთვის, განსაკუთრებულ მადლობას ვუხდი პროფესორ - შორენა საძაგლიშვილის, რომლის მიერ გაცემულმა უკუკავშირებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ნაშრომის წერის პროცესსა და სრულყოფილი სახით დასრულებაში.

ასევე, დიდ მადლობას ვუხდი კვლევაში მონაწილეობისთვის საქართველოში, დედათა და ბავშვთა თავშესაფრის ქვეპროგრამის მომსახურების მიმწოდებელ შემდეგი ორგანიზაციების წარმომადგენლებს : „საქართველოს ეს-ო-ეს ბავშვთა სოფელი“ (ქ. თბილისისა და ქ. ქუთაისის პროგრამა), ქ. ხაშურში არსებული „ბილიკი“, საქველმოქმედო ფონდი „საქართველოს კარიტასი“ და „ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელი“.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, განსაკუთრებული მადლიერება მინდა გამოვხატო კვლევაში მონაწილე, დედათა და ბავშვთა თავშესაფრების ყოფილ ბენეფიციარების მიმართ, რომლებიც მიუხედავად მათი შინაგანი ბარიერებისა, დამთანხმდენენ და გამიზიარეს მათი ცხოვრების ურთულესი პერიოდი, ემოციები, შიშები. მათ მიერ მოწოდებულ ინფორმაციას უდიდესი როლი აქვს შედეგებისა და რეკომენდაციების გამოკვეთის მიმართულებით.

აბსტრაქტი

წარმოდგენილი ნაშრომი ეხება საქართველოში არსებულ დედათა და ბავშვთა თავშესაფრის ქვეპროგრამის ეფექტურობას, ყურადღება გამახვილებულია მოკლევადიან და გრძელვადიან შედეგებზე, თავშესაფრის განმეორებით საჭიროებათა მიზეზებზე, ასევე, გამოწვევებზე, რომელთა წინაშეც დგანან მომსახურების მიღების შემდგომ, თავშესაფრიდან გასული ბენეფიციარები. მხარდამჭერი მომსახურებების მნიშვნელოვნების წარმოჩენის მიზნით, ნაშრომში წარმოდგენილია სხვადასხვა ქვეყნის დამხმარე პროგრამები, რომელიც მიმართულია უსახლკარო, სხვადასხვა გამოწვევების წინაშე მყოფ მარტოხელა დედებისკენ.

საკითხის შესწავლის მიზნით, თავშესაფრის ყოფილ ბენეფიციარებსა და მომსახურების მიმწოდებელი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ჩატარდა კვლევა, რომელიც იძლევა გარკვეულ მონაცემებს, რის საფუძველზეც შემუშავდა რეკომენდაციები. შემუშავებული რეკომენდაციები მოიცავს ყველა იმ ხარვეზსა და გამოკვეთილ საჭიროებას, რომელიც ინტერვიუების დროს გამოვლინდა. მაგალითად, კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ სახელმწიფო ზრუნვის სოციალური მუშაკი მინიმალურადაა ჩართული შემთხვევების მართვაში, არაა განსაზღვრული თავშესაფრებში მისი უფლება მოვალეობები, შესაბამისად, გაიცა რეკომენდაცია : განისაზღვროს სსიპ სახელმწიფო ზრუნვის, ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს სოციალური მუშაკის ფუნქცია-მოვალეობები დედათა და ბავშვთა თავშესაფრის მომსახურებაში;

Abstract

The presented paper deals with the effectiveness of the maternal and child shelter sub-program in Georgia, the focus is on short-term and long-term results, the reasons for the repeated need for shelter, as well as the challenges faced by beneficiaries who have left the shelter after receiving services. In order to demonstrate the importance of support services, the paper presents the support programs of various countries aimed at homeless single mothers facing various challenges.

In order to study the issue, a survey was conducted with former asylum beneficiaries and representatives of service providing organizations, which provides some data, on the basis of which recommendations were developed. The developed recommendations include all the gaps and identified needs that were revealed during the interviews. For example, as a result of the research, it was revealed that the social worker of the state care is minimally involved in the management of cases, his rights and duties in the shelters are not defined, therefore, a recommendation was made: to define the function-duties of the social worker of the State Care, Trafficking Victims, Victims Assistance Agency in the service of mothers and children's shelters;